

## ტესტის სახელწოდება

ქლორიდი

### რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში ან შარდში ქლორიდის დონეს განსაზღვრავს. ქლორიდი ელექტროლიტია, რომელიც ორგანიზმში სითხის ოდენობის რეგულირებასა და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებაში მონაწილეობს.

ადამიანი ქლორიდს სუფრის მარილისა და სხვადასხვა საკვების სახით იღებს. ორგანიზმი ქლორიდის მისთვის საჭირო რაოდენობას ითვისებს, ჭარბი რაოდენობა კი თირკმელების მიერ შარდთან ერთად გამოიყოფა.

ქლორიდის დონე სისხლში, ძირითადად, ნატრიუმის კონცენტრაციასთან ერთად იმატებს ან მცირდება, მაგრამ როდესაც მჟავა-ტუტოვანი ბალანსი ირღვევა, მისი დონე ნატრიუმის დონისგან დამოუკიდებლად შეიძლება შეიცვალოს.

### რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ეს ანალიზი შეიძლება დაინიშნოს:

- რუტინული შემოწმებისას ან როდესაც ეჭვი აქვთ მჟავა-ტუტოვანი ბალანსის დარღვევაზე;
- მონიტორინგის მიზნით ალკალოზის ან აციდოზის მკურნალობისას; იგი ასევე ინიშნება, თუკი ადამიანს ისეთი დაავადება აქვს, ან ისეთ მედიკამენტს იღებს, რომელმაც ელექტროლიტური ბალანსის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს;
- ჰიპერტენზიისას, გულის უკმარისობისას, თირკმელების დაავადების დროს.

ქლორიდის ანალიზი, ჩვეულებრივ, სხვა ელექტროლიტებთან ერთად ინიშნება.

### როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. ქლორიდის კონცენტრაციის განსაზღვრა შარდშიც არის შესაძლებელი.

### როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

მოცემული ტესტი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. ქლორიდის დონეზე ზეგავლენა სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება მოახდინოს, მათ შორის იმ მედიკამენტებმა, რომლებიც სისხლში ნატრიუმის დონეს ცვლიან. ამიტომ ანალიზის გაკეთებამდე საჭიროა ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.

### შედეგების ინტერპრეტაცია

ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

შედეგების ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, ქლორიდის კონცენტრაცია ნატრიუმისგან დამოუკიდებლად არის შეცვლილი თუ არა, რადგან ეს ინფორმაციას იძლევა მჟავა-ტუტოვანი ბალანსის დარღვევის შესახებ.

სისხლში ქლორიდის მაღალი დონე (ჰიპერქლორემია) ძირითადად დეჰიდრატაციაზე მიუთითებს. ჰიპერქლორემია შეიძლება აგრეთვე გამოიწვიოს მეტაბოლურმა აციდოზმა ან რესპირატორულმა ალკალოზმა. იგი ასევე თან ახლავს იმ მდგომარეობებს, რომლებიც სისხლში ნატრიუმის დონეს ზრდიან, მაგ. კუშინგის დაავადებას, თირკმელების მწვავე უკმარისობას.

სისხლში ქლორიდის დაბალი დონე (ჰიპოქლორემია) შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერმა დაავადებამ რომელიც სისხლში ნატრიუმის კონცენტრაციას ამცირებს. ჰიპოქლორემიის მიზეზი შეიძლება ასევე იყოს მეტაბოლური ალკალოზი ან რესპირატორული აციდოზი. თავის მხრივ, აღნიშნული მდგომარეობების მიზეზი შეიძლება იყოს გახანგრძლივებული ლებინება, ადისონის დაავადება, ფილტვების ემფიზემა და სხვ.

შარდში ქლორიდის მაღალი დონე შეიძლება მიუთითებდეს ადისონის დაავადებაზე, სუფრის მარილის ჭარბად მიღებაზე და სხვ.

შარდში ქლორიდის დაბალი დონე დაკავშირებული შეიძლება იყოს: კუშინგის სინდრომთან, დიარეასთან, გულის შეგუბებით უკმარისობასთან.